ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 247
ნოემბრის 17, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 247
ნოემბრის 17, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ი ვ ე რ ი ა“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ჟირარდის მანუფაქტურის საწყობში

ახლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

დონერ—ლეიტცი.

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი 1882 წ.
ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество
ტელეფონი № 66. (30—6.—22)

№ 15. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას 17 ნოემბერს, 1902 წ.

თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილის პატივსაცემლად ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

დაკლებულის ფასებით

I

ბორკილი

დრამა 4 მოქ. თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილისა, თარგ. ა. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ.-დე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „სხივს მოკლებულნი“ „კოვერლეის მკვლელობა“ (კ. მესხის ბენეფისი), „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესს ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი ალ. მალალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

საჭიროა

პასუხის-მგებელი **პრიკაშჩიკები** თავიანთ მოსამსახურე ხელ-ქვეითებით ამიერ-კავკასიის რკინისგზის მოხელეთა მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიასა და მატარებლების დუქნებში. გირაოდ უნდა იქმნას შემოტანილი 400-დან 600 მანეთამდე, ჯამაგირებია გადაწყვეტილი 960 მანეთიდან 1320 მანეთამდე წელიწადში.

საზოგადოების გამგეობა იმყოფება ტფილისში, მიხეილის პროსპექტი, სახლი ალულოვისა, № 162. (4—4).

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაგანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. ზაპაროვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვების და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
ზ. გ. მალალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. ზ. მალალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 15 ნოემბერი.

იკისრებს თუ არა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ერთის მილიონის მანეთის თავმდებობას წინაშე მთავრობისა სასოფლო-სამეურნეო ბანკის კერძო საზოგადოებისათვის (იხ. „ივერია“ № 241)?

მართალია, ჩვენს თავად-აზნაურობას ბევრი რამ ესაყვედურება, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ, როცა საქმე საყვედურზე მიდგება, ვერც სხვები გაიმართლებენ თავს. მარტო იმით ხომ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, რუსულის ანდაზისა არ იყოს, რომ ვისაც ბევრი აქვს, ბევრიც მოეთხოვებაო; თუ ბევრის მქონებელს ბევრი უნდა მოეთხოვოს, ცოტას მქონებელმა ცოტა მაინც უნდა გამოიღოს.

ჩვენდა სამწუხაროდ, არც ჩვენი გლეხკაცობა და მეტადრე არც ჩვენი ესრედ წოდებული ინტელიგენცია ვალდებულად არ რაცხს თავის თავს, იმდენი შესწიროს საზოგადო საქმეს, რაოდენსაც შეძლების-და გვარად სხვისაგანა თხოულობს.

ჩვენს თავად აზნაურობას ერთი კეთილი თვისება კიდევ შერჩენია: როცა სინიდისზე მიდგება საქმე, კეთილს ვერ უღალატებს და ამისათვის ჩვენა გვგონია, რომ იგი ადვილად იკისრებს ყოველგვარ თავდებობას, თუ-კი ნათლად დაინახავს, რომ ჩვენს აოხრებულს და გაჭირვებულს სამშობლოს, მისის თავდებობით რაიმე ეშველება.

რასაკვირველია, თავად-აზნაურობას შეუძლიან, რა-კი თავის თავდებობით ისესხებს ერთს მილიონ მანეთს, საკუთარივე ბანკი დააარსოს ისე, როგორც საადგილ-მამულო ბანკი დააარსა; მაგრამ ჩვენ განგებ გვაქვს სახეში უკვე დაარსებული კერძო საზოგადოების ბანკი, რომელსაც დღეს ვერ აუსრულებია თავისი დანიშნულება მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლება არა აქვს.

თუ თავად-აზნაურობა, მართლა, არავითარს განსხვავებას არ ხედავს თვისსა და კერძო—საზოგადო დაწესებულების შორის და, პირიქით, საერო საქმეში ძმობასა და ერთობას ქადაგებს, მაშასადამე, ტყუილი ჩანჩხარი იქნება ახალი ბანკის დაარსება, რადგანაც დაწყებულ საქმის წაყვანა უფრო ადვილია, ვიდრე ახალის დაწყება.

მაშ, თუ არავითარი ეჭვი არ არის, რომ თავად-აზნაურობა იკისრებს თავდებობას, რა მამა-შვილური კავშირი უნდა დაარსდეს დღევანდელ სასოფლო-სამეურნეო ბანკსა და მას შორის და რა გვარი იურიდიული ურთიერთობა უნდა დამყარდეს?

ამის პასუხი ადვილია, თუ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკის დღევანდელს წეს-წყობილებას მივმართავთ; მართალია, ცოტაოდენი განსხვავებაა ამ ორ ბანკს შორის, იმდენიც არაფერი, რომ ზემოხსენებული წეს-წყობილება სახელმძღვანელოდ არ გამოგვადგეს.

როგორც ყველას მოეხსენება, საადგილ-მამულო ბანკის თანხა თავად-აზნაურობის საკუთრებაა და ამ ბოლოს დროს უმაღლესის ბრძანებით წმინდა შემოსავალიც მარტო თავად-აზნაურობას ეკუთვნის. ასე, რომ, თუმცა ბანკის კრება შესდგება ერთის მხრივ თავად აზნაურობის წარმომადგენელთა და მეორეს მხრივ მსესხებელთაგან, მაინც ბანკის წესდების ძალით, წმინდა მოგება უნდა მოხმარდეს მხოლოდ იმ საგანს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს საჭიროებას შეეხება; ასე, რომ, მსესხებელნი, რომელნიც ბანკის ვალის გადახდაში ისეთნი თავდებნი არიან, როგორც თავად-აზნაურობა, არავითარი ნება არა აქვთ ჩაერიონ იმ საქმის გადაწყვეტაში, თუ რა საჭიროებას მოხმარდეს ბანკის წმინდა მოგება.

თუ ჩვენი თავად-აზნაურობა იკისრებს ერთი მილიონის თავდებობას სამეურნეო ბანკის წარმატებისათვის, მაშინ მისი მდგომარეობა დაემზგავსება სწორედ მსესხებელთა მდგომარეობას საადგილ-მამულო ბანკში. ბანკის კერძო საზოგადოება წმინდა მოგების პატრონი იქნება და თავად-აზნაურობა-კი—მარტო კერძო წევრი ბანკისა, რომელსაც ექნება თავისი წარმომადგენლობა ბანკის კრებაზე. გარდა ამისა, შეიძლება თავად-აზნაურობამ მოითხოვოს, რომ ტფილისის გარეშე ბანკის ამა თუ იმ განყოფილების განაღდების ყოველს კომიტეტში თვისი წარმომადგენელი ჰყავდეს; რასაკვირველია, ბანკის საზოგადოებაც დაეთანხმება თავად-აზნაურობის წარმომადგენლობას, რადგანაც ერთის მილიონის თავდებობაც რომ არ იყოს, ბანკის განყოფილების კომიტეტებს უნდა შეადგენდნენ ყოველის წოდების წარმომადგენელნი, ესე იგი გლეხნი, მოვაჭრენი და თავად-აზნაურნი. მაშასადამე, რა-კი ბანკის განყოფილება გვექნება, მაშინ დღევანდელმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უეჭველად უნდა მიიწვიოს მონაწილეთ თავად-აზნაურობის წარმომადგენელი.

რაც-კი შეეხება თავად-აზნაურობის წარმომადგენლობას გამგეობაში, ჩვენის აზრით, ამაზე ლაპარაკი არც-კი ღირს, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ, როდესაც დიდი საქმე გვექნება, დიდს შრომასაც გამოვიჩენთ და იმაზე აღარ ვიკადრებთ ვილაპარაკოთ და ვიჩხუბოთ, თუ ვინ უნდა იქმნეს ბანკის გამგეობაშიო.

ჩვენგან გაკვრით წარმოთქმული აზრი, შესახებ ერთის მილიონის მთავრობისაგან უსარგებლოდ სესხისა და დღევანდელის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გაუმჯობესებისა და მის მოქმედების გაფართოვებისა, რასაკვირველია, უფრო უკეთესს და ვრცელს დასაბუთებას მოითხოვს; დღეს-კი ამ აზრის გაკვრით გამოთქმა აუცილებელი იყო, რადგანაც ქვეყანა სასოფლო-მეურნეობის გაჭირვებაზედ ლაპარაკობს და გაჭირვების მალამო-კი ჩვენის აზრით, ფართოსი და იაფის კრედიტის შოვნაა.

თავად აზნაურობის მომავალს კრებაზედ, ჩვენის აზრით, ბევრი მოსაზრება გამოითქმის საქართველოს სასოფლო-მეურნეობის გაჭირვებისა და მის შვე-

ლაზედ. „ივერიის“ რედაქცია ეცდება იმ დროსათვის უფრო დასაბუთებული აზრი გამოსთქვას ერთი მილიონის უსარგებლოდ სესხს და იმედი გვაქვს, უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურობისა ჩვენს აზრს დაეთანხმება.

ტფილისი

◆ მთავარ-ანგელოზობა დღეს ტფილისის გუბერნიის წინამძღოლმა თავად-აზნაურობის სახელით მიულოცა კავკასიაში ნამესტნიკად ნამყოფს მის იმპერ. უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს მისი დღეობა და პასუხად მიიღო შემდეგის შინარსის დეპეშა:

„ტფილ. გუბერ. თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ-დს მელიქიშვილს.

გულითა და სულით ვმადლობ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ გულთბილის სიტყვებითა და თანაგრძნობით მომილოცა ჩემი დღეობა და ისურვა ჩემთვის ყოვლივე სიკეთე“.

მიხეილი.

◆ კავკასის სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტს, უგანათლებულეს თავად გრუზინსკის, ოდესის დამსახურებულ პროფესორის ბ-ნ ვასილ პეტრიაშვილისაგან მოუვიდა წერილი და მადლობას უცხადებს საზოგადოების საპატიო წევრად ამორჩევისათვის, ბ-ნი პეტრიაშვილი სწერს სხვათა შორის: მივიღე რა დიდის სიამოვნებით საპატიო წევრობა, როგორც დიდი ჯილდო ჩემის მცირე ძოღვაწეობისა, ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში ყოველს ჩემს ძალას და ღონეს შევწირავ ჩემის სამშობლოს ზოგიერთ საგნის გამოკვლევასაო. გარდაეცით სამეურნეო საზოგადოების წევრთ, რომ მალე მოგვიხდება ერთს ასპარეზზედ ძმურად უღლის წევაო.

◆ დღეს, 17 ნოემბერს, ქალაქის ახალნი ხმოსანნი მიიღებენ ფიცს და ორშაბათს შეუდგებიან თავიანთ მოვალეობის აღსრულებას. პირველი კრება განახლებულ საბჭოსი დანიშნულია ხვალ, 18 ნოემბერს.

◆ ქალაქ კოვნოს სამეურნეო საზოგადოება აცნობებს ტფილისის სამეურნეო საზოგადოების გამგეობას, რომ 17, 18 და 19 მაისს 1903 წელს, ნევეჟინში დანიშნულია გამოფენა ცხენებისა, სხვილფეხ საქონლისა და მრეწველობისაო, ამიტომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ვთხოვთ დანიშნოს ექსპონენტების დასაჯილდოვებლად მენდლები და თავისი წარმომადგენელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღოს ბჭობაში ჯილდოთა დასარიგებლადაო, თუ ინებებს საზოგადოება და დანიშნავს მენდლებსა, ვთხოვთ, ეს მენდლები წარმოადგინოს არა უგვიანეს 1903 წლის 1 მაისისაო.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სწერს იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტი, რომ 12—25 მომავალ დეკემბერს სრულდება იურიევის უნივერსიტეტის ასის წლის არსებობის დღე და გთხოვთ როგორც სამეცნიერო დაწესებულებას, ამ ჩვენთვის სასიხარულო დღესასწაულში თქვენც მიიღოთ მონაწილეობაო. თუ საზოგადოება ინებებს და დანიშნავს თავის წარმომადგენელს, უნივერსიტეტის გამგეობა სთხოვს წინდაწინ შეგვატყობინოს ეს ამბავიო.

◆ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რა ოსტატურად გასტეხეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთი ოთახი და გაიტანეს ყუთი, რომელშიაც 800 მან. ნაღდი ფული იყო და 700 მანეთამდე ღირებული ოქროს და ვერცხლის მენდლები; ამ საქმის გამო პირველ ნაწილის გამომძიებელმა კიდეც დააპატიმრებინა პოლიციას საზოგადოების მოსამსახურე პროკოფიევი; გუშინ, 16 ნოემბერს, ბ-ნ გამომძიებლის მიწერილობით პოლიციამ გაანთავისუფლა პროკოფიევი; გამომძიებელი თავის მიწერილობაში ამბობს, რომ ვერ ვხედავ საკმარისს საბუთებს, პროკოფიევის დანაშაულობისასაო.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობაში დანიშნული იყო ქალაქის სასწორების საჯარო ვაჭრობით გაცემა; გამოცხადდა სულ 8 კაცი, მათში ერთი ქართველი—ბ-ნი ტოროშელიძე; იარმუკის სასწორი გაიცა 151 მანეთად.

◆ პარასკევს, 15 ნოემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნული იყო ტფილისის მეშჩანთა მმართველობის წევრთა კრება. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო და მრავალი საგულისხმიერო საქმეც იყო განსაბჭობი; დაწვრილებით ამ კრების ანგარიშს მკითხველებს შემდეგ შევატყობინებთ.

◆ 14 ამ თვეს მოხდა ქალაქის გამგეობის წევრთა კრება; გამგეობის წევრმა ბ-ნმა კოკჩაევმა, კრებას წარუდგინა დაწვრილებითი ცნობანი ბ-ნ ქანდაროვის პურის საცხობის შესახებ; კოკჩაევმა სთქვა, რომ თუ ქალაქი იკისრებს ამ პურის საცხობის ყიდვას, ქალაქს შეუძლიან არამც თუ კარგის თვისების პური გაყიდოს, არამედ პურის ფასიც დასწიოსო. ამასთანავე გამგეობამ უნდა იცოდეს, რომ თუნდაც დაკლებულის ფასით გაყიდოს გამომცხვარი პური, ამ შემთხვევაშიაც მოგებაში იქნება ქალაქი; ქალაქს შეუძლიან ის ვალი, რომელიც დაედება პურის საცხობის გამოსასყიდად, რამდენისამე წლის განმავლობაში აღებულ მოგებით გარდაიხადოსო, იმას გარდა, რომ შემოსავლით გავისტუმრებთ იმ ხარჯს, რაც ამ საქმეზედ მომუშავე ხალხს მოუნდებაო. რაც შეეხება მოცილეობას, ტფილისის პურის მცხობლები ვერას დაგვაკლებენ, რადგანაც ქალაქს შეუძლიან დიდძალი ფქვილი ნარდად შეიძინოს; გამგეობამ დაადგინა, ბ-ნ კოკჩაევის ვრცელი მოხსენება გარდასცეს ქალაქის საფინანსო კომისიას, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარუდგინოს, რაც შეიძლება მალე საბჭოსა.

◆ პარასკევს, 15 ნოემბერს ქალაქის გამგეობამ განიხილა ორთაჭალაში ბაღის პატრონების თხოვნა შესახებ ხიდის გამართვისა იმ მტკვრის ტოტზედ, რომელიც ჩადის ძველ დამოუნასა და ბაღებ შუა; ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და დაადგინა: ქალაქის სააღმშენებლო განყოფილების გამგეს ბ-ნ ენფიანჯიანცს მიეცეს 200 მანეთი, რათა გამოიკვლიოს ეს ადგილი, სადა და რანაირის ხიდის გაკეთებაა საჭირო; დაწვრილებულნი ცნობანი ამ ხიდის შესახებ ბ-ნ ენფიანჯიანცმა წარუდგინოს საფინანსო კომისიას განსახილველად და საფინანსო კომისიამ თავისი დასკვნა— ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლადაო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ბ-ნმა სვეჩინმა შეატყობინა ქალაქის თავს, რომ კავკასიის მთავარ-მმართებლის სურვილის თანხმად, გთხოვთ, როცა მომავალ სამის წლისათვის ფულის სესხება გინდოდეთ ქალაქში ჯართა სადგომების ხარჯის დასაკმაყოფილებლად, წარმომიდგინოთ დაწვრილებითი ცნობა რაზედ რა იხარჯება, რამდენი დახარჯულა წინა წლებში და ახლა რამდენით ან ნაკლებს ან მომეტებულს ითხოვთო; ზედვე უნდა ჰქონდეს დართული ვრცელი მოხსენება იმ დაწესებულებისა, საიდგანაც ქალაქი შემოსავლით სარგებლობსო; მასთანავე ისიც, თუ რამდენი რჩება ქალაქს ყოველ წელს სხვა-და-სხვა ფონდებში ჩასარიცხათაო. ამავე განკარგულებას ექვემდებარება ტფილისის გუბერნიის ყველა ქალაქიო.

◆ დღეს ქართულ თეატრში, ქართულ დრამატიულ დასისაგან გამართული იქნება, ჩვენის თანამემამულეს, ბ-ნ სუმბათაშვილის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის პატივსაცემად, წარმოდგენა; დასი ჩარმოადგენს სუმბათაშვილის 4 მოქ. დრამას „ბორკილს“. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ დღეს, პირველ საათზედ დანიშნულია ქალაქის სატეხნიკო სასწავლებელში მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება.

◆ სამშაბათს, 19 ნოემბერს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება; კრება განიხილავს საზოგადოების სხვა და სხვა საქმეებს; სხვათა შორის ამ კრებაზედ ამორჩეულ იქმნება ის კომისია, რომელიც დაათვალიერებს თავ. გრუზინსკის მამულს ქსნის ახლო მდებარეს, სადაც განზრახული აქვთ მომავალში გადაიტანონ ტფილისის საბაღოსნო სკოლა.

◆ კავკასიის ქარხანათა და ფაბრიკების მუშათ- ინსპექცია აგერ ორი თვეა შესდგომია გამოკვლევას, თუ წლის განმავლობაში რამდენი მუშა გარდაიცვალა თვისით, რამდენი იმსხვერპლა სხვა-და-სხვა მანქანამ, რამდენი დასახიჩრდა და სხვა. საფაბრიკო ინსპექცია ყოველ ამ ცნობათა დაბეჭვდას აპირებს თებერვლის გასულისათვის.

◆ ბ-ნმა ქანდაროვმა, როგორც ვიცით, ამას წინად მიჰმართა ქალაქს და სთხოვა, ნება მომეცით თქვენ მიერ დამართულ ხორცის დუქნებში ჩემ პურის საცხობში გამომცხვარი პური გავყიდოვო; ამის მაგივრად ქანდაროვი ქალაქს ნებას აძლევდა მის მამულში, რკინის გზის სადგურის ახლო, გაემართნა ხორცის დუქანი; სხვათა შორის ქანდაროვი ქალაქის სასარგებლოდ იხდიდა ყოველ ერთ ფუთ გამომცხვარ პურზედ 2 კაპეიკსა; ქალაქის გამგეობამ ქანდაროვის ეს თხოვნა გარდასცა ხორცის დუქნების უფროსს გამგეს ბ-ნ ალიხანოვს და სთხოვა წარმოედგინა თავისი აზრი, რავდენად ხელსაყრელი იქნებოდა ქალაქისთვის ქანდაროვის პირობა. ბ-ნმა ალიხანოვმა გუშინწინ წარუდგინა თავისი აზრი გამგეობას; სხვათა შორის, ბ-ნი ალიხანოვი დასძენს, რომ პურის ვაჭრობის გამართვა საყასბო დუქნებში დიდს ხარჯს დაგვატეხს თავზედა; მეორეც ესა, განა რამდენი ათასი ფუთი უნდა გაიყიდოს, რომ ფუთზე 2 კაპეიკობით რაიმე სახარბიელო შემოსავალი ჰქონდეს ქალაქსაო. რაც შეეხება იმის მამულში ხორცის დუქნის გაღებასა, ეს ადგილი მივარდნილია და აქ დუქნის გამართვა ხალხისათვის უხერხული იქნება. ქალაქში მცხოვრებნი პურს დილით-კი არა, უფრო სადილისათვის ყიდულობენ ახლად გამომცხვარსა და რბილს და მაშასადამე დილით ყიდვა ხორცთან ერთად ჩვენს დუქნებში ხელს არ მისცემთ პურის მყიდველ მუშტარსაო.

—

სხვათა შორის

II

დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ ბ-მა პეტრე უმიკაშვილმა გამოიკუნტრუშა „ცნობის ფურცლის“ 1985-ში. მარდი კაცია ეს! გამოიკუნტრუშა-კი, მაგრამ თქვენი მტერი, რომ იმას საქმე დაემართა! იმავე №-ში რედაქციამ მის წერილს პასუხიც ზედ დაუდვა, სამარე გაუთხარა და შიგ ჩამარხა საუკუნო განსასვენებლად. რედაქციამ ერთხელ ორჯელ-კი დაურთო „პატივცემული“ ავტორის ბ-ნ უმიკაშვილის შესახებ. მერე-კი მისდგა ამ „პატივცემულს“ და სულ ზურგზედ ბოლი აადინა, პ. უმიკაშვილის აზრი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სრული უაზრობა მკითხველთათვის ცხადზედ-ცხადი შეიქმნა. ამიტომ საჭირო აღარ არის დაწვრილებით განხილვა ამ წერილისა, ხოლო რადგანაც საგანი ფრიად საყურადღებოა, არ შეგვიძლიან მოკლედ არ გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს მისი უმთავრესი აზრი; გვსურს წარვუდგინოთ მკითხველს ორიოდე ნიმუში უმიკაშვილის ლოღიკისა, რომ დავანახვოთ, რა ძალ-ღონით ეჭიდება იგი ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმეს.

ბ-ნ უმიკაშვილის წერილი შეეხება მომავალ დედათა სკოლის დაარსებას და სათაურად აწერია: „ამაო ლაპარაკი ქალების სკოლაზე“. ავტორი თავის წერილს იწყებს, რომ ქალების სკოლა გვეჭირება, ვინ არის ამის წინააღმდეგიო“ და ამიტომ... ამიტომ ამ სკოლას ნუ დავაარსებთ, რადგანაც ამისთვის, ჯერ დრო არ დამდგარაო!

როგორ მოგწონთ, ბატონებო, ეს პირველი ნიმუში უმიკაშვილის ლოღიკისა? მიდი და ნუ იტყვის კაცი, რომ თუ ამგვარ მოსაზრებით რისმე „სიბეცის გამოჩენა“ შეიძლება, მხოლოდ ავტორის თავის „სიბეცისა“ და სხვა არაფრისა.

ჰკითხეთ ბ-ნ უმიკაშვილს, რატომ არ არის ჯერ დრო დედათა სკოლის დაარსებისა, და მაშინვე თავ-მომწონედ მოგახსენებთ, იმიტომ რომ ჯერ ვაჟების სკოლა „ვერ არის მტკიცე ნიადაგზედ დამყარებული“, რადგანაც უზრუნველ-ყოფისთვის სკოლას საჭირო „თანხა არა აქვსო“, და ამ დროს დედათა სკოლის დაარსებისათვის ზრუნვა „უგუნურობააო“, როგორათაც უგუნურობაა „ერთის ხელით ორის საზამთროს დაჭერაო“.

არ ვიცი, ცალ-ხელად ვის იგულისხმებს ავტორი; ის-კი ვიცი, რომ ბ-ნს უმიკაშვილს, ორის ხელის მაგივრად, ოთხიც რომ გამოესხათ, მაინც ერთს საზამთროსაც ვერ დაიჭერს, რადგანაც თვით საზამთროს დაჭერას, ხელებს გარდა, მოხერხებაც უნდა.

ბ-ნო უმიკაშვილო, ვაჟთა სკოლის უზრუნველყოფისთვის საჭირო „თანხაზედ“ რომ ლაპარაკობთ, გესმით განა, რას ჰნიშნავს ეგ თქვენი სიტყვები? თქვენ, მგონი, ბანკის რაღაც მოხელე ბრძანდებით, «ჩოტკა» ახლოს გექმნებათ, აბა ერთი ჩააგდეთ, რამდენა „თანხა“ მოგინდებათ ამისთვის? როგორ და როდის შეიძლებთ ამ „თანხის“ შოვნას? განა არ მოგეხსენებათ, რომ დღეს სკოლას უნდება ყოველ წლივ არა ნაკლებ 8 ათასი თუმნისა. ეს ხომ ორის მილიონის ფულის სარგებელს შეადგენს, და აბა, ბრძანეთ ერთი, სად უნდა იშოვოთ ეს ორი მილიონი და როდის? მანამდის? მანამდინ-კი, თქვენის რჩევით, გულ-ხელ-დაკრეფილნი უნდა ვისხდეთ და ცას შევცქეროდეთ, იქნება იქიდან ჩამოვარდეს როგორმე თქვენგან მოწონებული „თანხა“! ამის იქმს გსურდათ, ბ-ნო უმიკაშვილო? იფიქრეთ, მკითხველო, უმიკაშვილისთანა მრჩეველებს რომ აჰყოლოდა ჩვენი საზოგადოება, გვექნებოდა ახლა ის ვაჟთა სკოლა, რომელიც, მისისავე სიტყვით, ეხლა მთელ გიმნაზიად გარდაიქცა?!

აი, კიდევ ერთი მაგალითი უმიკაშვილის საოცარის ლოღიკისა. „გასაოცარია „დამხმარებელ საზოგადოების“ კომიტეტის მოუსაზრებლობა“, ქალების სკოლის მოსამზადებელ კლასების დაარსების სურვილისაო, ბრძანებს ავტორი, და ზედ დასძენს, რომ „კეთილი განზრახვის და შრომისთვის პატივისცემის“ ღირსია იგივე კომიტეტი ამ ზრუნვისათვისაო. როგორ მოგწონთ «მოუსაზრებლობა“, რომელიც „პატივცემის“ ღირსი ყოფილა!

გარდა ამისა, ბ-ნი უმიკაშვილი თავის წერილში ქადაგად დაცემულ დედა-კაცივით კიდევ ბევრს რაღასაცა ჰბოდავს „ოპოზიციაზედ“, რომელიც თურმე აფერხებს კეთილ დღეობას „ვაჟთა სკოლისას, დამხმარებელ საზოგადოებისას, წერა-კითხვის საზოგადოებისას, დრამატიულ საზოგადოებისას“ და ვიღაც ვაჟ-ბატონების „სიჩინსაც“ შეეხება. ჩვენ ამაებს აღარ გამოვეკიდებით, რადგანაც ყოველივე ეს, ავტორის ბავშურ „ტიტინის“ მეტი არა არის-რა.

არა, ბ-ნო უმიკაშვილო, ტყუილად მოგიკიდნიათ ხელი ამ საქმისათვის; ეს საგანი თქვენი საზიდი არა ყოფილა და თქვენის ცოდნით საკეთო არა გამოდგა. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ მეჩექმე ხაბაზობას ვერ იზამს, და რომ მისის გამომცხვარის პურით ვერავინ გაძღებაო! გვაშოროს ღმერთმა თქვენისთანა ცრუ მეგობრები; თორემ თქვენის უცნაურის მოსაზრების მიმდევარნი, არამც თუ დედათა სკოლას ვერ დავაარსებთ ვერაოდეს, ისიც არ დაგვრჩება, რაცა გვაქვს. სწორედ თქვენისთანებზედ არის ნათქვამი: „ღმერთო, გვაშორე მეგობრები და მტერს ჩვენ თვითონ როგორმე მოვიგერებთო“.

გ—შვილი.

კავკასია

გაზეთს „კასპ“-ში სწერენ, რომ ბ-ნ ტაგიევის მუსულმანთ დედათა სკოლასთან დაარსებული იქნება მუსულმან ქალთათვის საკვირაო სკოლის მზგავსი „საპარასკევო“ სკოლა, სადაც მასწავლებლად იმავ სკოლის მასწავლებელი ქალები იქნებიან. სკოლაში ივლიან რასაკვირველია წერა კითხვის უცოდინარნი მოზრდილი ქალები.

ფელეტონი

შავი-ქვის მრეწველთა მომავალ კრების გამო.

ქიათურელების უპირველესს საგანს დღეს შავი-ქვის მრეწველთა მომავალი კრება შეადგენს. ქიათურის შავი-ქვის მრეწველობა ერთად-ერთი სამრეწველო ადგილია, რომლის გაუმჯობესობას და აღორძინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის კეთილ-დღეობისა და წარმატებისათვის. ამიტომ ურიგო არ იქმნებოდა, ჩვენს მოწინავე კაცებს, ხალხის გულ-შემატკივართ მიეღოთ მხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში, გაეგოთ ჩვენი ავ-კარგი, საჭირო დარიგება მოეცათ ჩვენთვის. ურიგო არ იქმნებოდა აგრეთვე, ჩვენს ჟურნალ-გაზეთობასაც უფრო მეტი სიფხიზლე გამოეჩინა და დაწვრილებით გასცნობოდა შავი-ქვის მრეწველობის საქმეს.

ქალაქის არჩევნები, ბანკის კრებები და სხ. ხშირად ერთს ალიაქოთს და ვაი-უშველებელს ასტეხს ხოლმე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მარტო ქიათურის მრეწველობა მივიწყებულია ყველასაგან; თითქოს ეს არავითარ საზოგადო ინტერესს არ წარმოადგენდეს და ჩვენის წარმატების საქმეს ოდნავაც არ შეეხებოდეს!.

საზოგადოდ, ქართველებს ლაპარაკი ბევრი გვიყვარს და საქმე ძლიერ ცოტა, რადგანაც საქმე უფრო მეტს შრომას და ჯაფას მოითხოვს. მთელი კავკასია მადნეულობით და სიმდიდრით სავსეა, მაგრამ ქონებას განა მოხმარება არ უნდა?.. ერთს ინგლისელს ჰკითხეს, ქართველები რად არიან ღარიბებიო და მან უპასუხათ: „**იმიტომ, რომ თვით ბუნება მდიდარიაო**!!!“ ეს მართალია. ბუნება ათასგვარ სიმდიდრით დუღს და გადმოდის, ჩვენ-კი შიმშილით სული ამოგვდის. შეგნებული კაცები და საქმის სპეციალურად მცოდნენი თუ ბლომად არა, რამოდენიმე მაინც გვყავს, მაგრამ რა გამოვიდა მარტო ყოლით, თუ ამისთანაებს ენერგია და საქმის სიყვარული არა აქვთ?

დავანებოთ ამასაც თავი; ვსთქვათ, არ შეგვწევს ჯერ როგორც ცოდნა, ისე ღონეც, რომ ჩვენი მდიდარი დედა-მიწის გული გადავშალოთ და აღმოვაჩინოთ უთვალავი სიმდიდრე, მაგრამ რად ვერ ვუძლევებით მაინც იმ აღმოჩენილს, რომელმაც უკვე, კარგა ხანია, სახელი გაითქვა თავისი ღირსებით მსოფლიო ბაზარზე? განა ამას თავიდგანვე განათლებული კაცები არ უწინამძღოლებდნენ? მაგრამ რა გამოვიდა განათლებულების წინამძღოლობით? უყაირათობით ლამის სამარის კარამდე მივიდეს ჩვენი დიდი საქმე, ჩვენი ქიათურის მრეწველობა! რატომ არ ამოიღებენ ამაზე ხმას, რატომ არ მიაქცევენ ყურადღებას ჩვენი განათლებული გულშემატკივარი მოწინავე კაცები? მაგრამ აკი მოგახსენეთ, რომ ქართველებს ლაპარაკი უფრო გვეხერხება, ვიდრე საქმის გაკეთება-თქო.

ზევითაც მოგახსენეთ, რომ ქიათურის შავი-ქვის მრეწველობას ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევს ჩვენი ჟურნალ-გაზეთობაო. ჩვენ, რასაკვირველია, „**ყურადღების მიქცევას**“ იმას არ ვეძახით, რომ გაზეთი რომელიმე კრების შემდეგ მოათავსებს თავის ფურცლებზედ ამა თუ იმ ორატორის რახა-რუხით შეზავებულ „რეჩს“ ან-და ყველა ამ „რეჩების“ დასრულების შემდეგ წარმოსთქვამს თავის შეხედულობას და აზრს ამა თუ იმ „პარტიის“ შესახებ. შეიძლება ეს აზრი სავსებით მართალი იყოს და კიდევაც ღირსი თანაგრძნობისა, მაგრამ ნაგვიანევი-კია, საქმეს აღარ გამოადგება. მრეწველობა ისეთი დარგია, რომ მას ყოველთვის ბეჭდვითი სიტყვა კვალში უნდა უდგეს, ამხელდეს ყოველივე მის დღიურ ნაკლულევანებას და შეცდომას, რომ დღევანდელი მომაკვდინებელი და მაზარალებელი (ნებით თუ უნებლიეთი) შეცდომა ხვალ მაინც თავიდგან აიცილოს. მართალია, ამისთვის სხვაგან საკუთარი სპეციალური ორგანოები აქვთ დაარსებული, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ მსოფლიო ბირჟასთან და წარმოებასაც მხარ და მხარ მისდევენ და უმეტეს ნაწილადკი წინ მიუძღვიან გზის მანათობლად, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საზოგადო მწერლობა მეტს ყურადღებას აქცევს მრეწველობას. ჩვენში-კი სულ სხვაა. აგერ საცაა შესდგება საზოგადო კრება ქიათურის მრეწველთა და ჯერ არც ერთს ჩვენს რედაქციებს ამაზედ თავისი აზრი არ წარმოუთქვამს. არც გვიკვირს: საქმეს ძლიერ ცოტად იცნობენ და უცნობ საგანზედ რა უნდა ილაპარაკონ! ჩვენებურ მწერლებს რომელიმე მიყრუებულ ქუჩის უვარგისობა, ქალაქის საბჭოს მიერ სახლის დანომრვის საქმე, უთავბოლო კამათი ზოგიერთ წყალ წაღებ პირების და სხვა ამ გვარი მარგალიტები უფრო ახალისებენ, ვიდრე სამშობლო ქვეყნის დიადი საქმე, როგორც არის ქიათურის მრეწველობა.

მოგეხსენებათ, შავი ქვის მრეწველებს ჰყავთ ესრედ წოდებული საბჭო, რომლის განკარგულებაშია ის $^3/_4$ კაპიკის „სბორი“, რომელსაც იხდიან მრეწველები ქიათურიდგან გადატანილს ქვაზედ; ამ ფულის დანიშნულება ფრიად საკეთილოა: ქიათურის ყოველმხრივ გაუმჯობესობა. აქ ავნუსხავთ მოკლედ, რაც გაკეთებულა ჩვენის საბჭოს მიერ ქიათურისა და ქიათურელებისათვის.

უნდა დავიწყოთ საბჭოსადმი საყვედურით იმის გამო, რომ წარსულ კრებებისამებრ, წელსაც არსადა სჩანს საბჭოს მოქმედების ანგარიშები, ეს-კი ერთი უდიდესი ნაკლთაგანია: უამისოდ მრეწველნი ვერ გაიცნობენ საქმის ვითარებას, მომზადებულნი ვერ მივლენ კრებაზე. წარსულ კრებაზედაც სწორედ ასე დაემართათ ჩვენ მრეწველებს. ორი დღის წინად კრებამდე დაურიგეს მათ ანგარიშები, (კარგა დიდი წიგნია) რომლის გულ-დასმით გაცნობას-კი არა, წაკითხვასაც ვერ მოასწრობს კაცი ორ დღის განმავლობაში და მით უმეტეს, რომ მრეწველთა უმრავლესობამ რუსული კითხვა არ იცის ხეირიანად. არ ვიცით, რით შეუძლიან იმართლოს თავი საბჭომ,—იმას ხომ ვერ იტყვის, ვერ მოვასწარითო!

ჩვენ აქ არ შევეხებით მოსამსახურეთა შრომის საჯილდო ხარჯთ-აღრიცხვას, თუმცა ვიტყვით, რომ, ურიგო არ იქმნება, მომავალი კრება ამასაც ყურადღებას მიაქცევდეს, რადგანაც აქაც შეიძლება ბევრი არა სასურველი და ზედ მეტი უსარგებლო ხარჯების შემოკლება ან და გაუმჯობესობა მაინც საქმისა. მაგალითად, როგორ ხარჯთ-აღრიცხვიდამ ვხედავთ, ერთს სტატისტიკს და ორს თანაშემწეს ყოველ წლიურად ეძლევათ 3300 მანეთი, მაგრამ სტატისტიკური ბიუროს შესახებ მაინც ყოველი მხრიდგან საყვედურები გვესმის, „ვერ არის კარგ დონეზედ დაყენებული“-ო, მასთან იმასაც მოვახსენებენ, ვითომც ვერ იყოს ეს სტატისტიკური ბიურო „**ყველასათვის ხელ მისაწვდენი**.“ ამას გარდა საზღვარ გარეთ ჰყავთ აგენტი, რომელიც ვალდებულია იქაური ბირჟის ყოველი მდგომიარობა, თუ ყოველ დღე არა, ყოველ კვირაში ერთხელ მაინც გვაუწყოს, ვინ გაყიდა ქვა, ან სხვა მხარეებიდგან რამდენი შემოაქვთ, რა ზომისაა მოთხოვნილობა და რა ფასი აქვს შავს ქვას: ამისთვის ყოველ წლივ იხდიან 900 მანეთს; ეს ფული, რასაკვირველია, არ არის დიდი ჯილდო ასეთი შრომისთვის, მაგრამ, მე მგონია, ეს შრომა ყველასთვის თვალსაჩინო უნდა იყვეს, ყველასათვის ხელ-მისაწვდომი და ყოველთვის ერთ რომელიმე დანიშნულ ალაგას თითქმის განცხადებასავით უნდა იფინებოდეს.

საბჭოს ჰქონდა დავალებული, ქიათურაში აეშენებია სხვა-და-სხვა შენობები, რომელშიაც უნდა ყოფილიყო მოთავსებული თვით საბჭო და განყოფილება მომრიგებელ-მოსამართლისა და სხვ... მაგრამ, როგორც ვხედავთ, დღემდე არა თუ არ შეუსრულებიათ ეს მინდობილობა, არამედ მისი კვალიც (მომავლისთვის მაინც) არ სჩანს. ჩვენი საბჭო დღესაც ქუთაისში იმყოფება და ას თუმნამდე ყოველ წლობით სახლის ქირას იხდის, როდესაც, დიდი ხანია, დავალებული ჰქონდა, რომ მას თავისი მოქმედება ქიათურაში გადმოეტანა, რადგანაც საბჭო იქ უფრო გამოსადეგი და სასარგებლო იქნებოდა, სადაც თვით წარმოებაა. შეიძლება ზოგთათვის ვერაფერი ხელსაყრელი იყვეს ქიათურაში ცხოვრება, ზაფხულში შავი-ქვის მტვერით გამოხრჩობა, ზამთარში მუხლამდე ტლაპოში ცურაობა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ფრიად დიდს დაბრკოლებას შეადგენს შავი-ქვის მრეწველთათვის, ყოველ უბრალო საქმეზედ ქუთაისში იარბინონ და ზედ-მეტი ხარჯები სწიონ. მასთან, ამ შენობების აუშენებლობის გამო ქიათურაში ვერ დაბინავდა მომრიგებელი მოსამართლე, და

უცხოეთი

მაკედონია. როგორც სოფიის გაზეთები იუწყება, ფილიპპოპოლში მყოფ რუსეთის კონსულ ბ. ვესტმანს დაუვლია ზოგიერთი ადგილები მაკედონიისა, სადაც ამ ჟამად ამბოხება არის მოდებული, დარწმუნებულა, რომ ოსმალები მართლა და ენით გამოუთქმელ სისასტიკით ეპყრობიან ქრისტიან მკვდრთაო.

ბ. ვესტმანს გადაუღია ფოტოგრაფიით რამდენიმე სურათი, რომელიც ცხად ჰყოფს, თუ როგორ „ამშვიდებენ“ ოსმალნი აჯანყებულ მცხოვრებთ. ის, რაც 1876 წელს ხდებოდა ოსმალეთის საქრისტიანო პროვინციებში, ყოველ დღე მეორდება: ქალებს აუპატიურებენ, ორსულ დედა-კაცებს აწამებენ, ეკლესიებს ჰბილწავენ, ხატებსა და საკურთხეველს მწიკვლავენ და მრავალ სხვა ასეთ საზიზღარ მხეცობას სჩადიან. იგინი სცდილობენ, როგორმე დაჰფარონ თავიანთი ნამოქმედარი, რომ საქვეყნოდ არ გამჟღავნდეს და ამისათვის მოკლულთა და დაჭრილთ, აგრეთვე წაბილწულ ხატებს და სხვა საეკლესიო სამკაულებს, სწვავენ; მათ კარგათ ესმით, თუ ყოველ ამ ბოროტობის შესამოწმებლად ევროპიელნი დაინიშნენ, ცუდად წაუვათ საქმე. კონსულის მიერ შედგენილი მოხსენება სავსეა ისეთის შემაძრწუნებელის ამბებით, რომ კაცს თმა ყალყზე დაუდგება.

— გაზეთ „Веч. Почта.“-ს ატყობინებენ 31 ოკდომბრის თარიღით მაკედონიის საზღვრებიდგან:

დღეს, სოფ. ბარაკოვოსა და ჰასარლიკს მოვიდა ოსმალთა რაზმი და ყველა სახლები გასჩხრიკა. მცხოვრებნი აიძულეს, სულთანის ერთგულობაზე შეეფიცათ და იარაღი აეყარათ. ვინც იარაღი თავის ნებით აიყარა და წარუდგინა მათ, ჯერ ჯერობით ხელს არ ახლებენ, მაგრამ მათ-კი, რომელთაც იარაღი არ ჰქონდათ და ამიტომ ვერ წარუდგინეს, სასტიკად აწამებენ, იარაღი გაქვთ, მაგრამ მალავთო. ოსმალ ნიზამებმა თან წაიყვანეს სოფ. ორანოვოს ყველა ქალები და, არც არავინ იცის, სად ჰყავთ იგინი. ასეთი ბედი ეწია ჯუმაის მაზრის სხვა სოფლებსაც. ხვალ უკანასკნელი ვადაა იარაღის ჩაბარებისა. ყველა სოფელში ჯარია ჩაყენებული. მცხოვრებნი გაურბიან მათ მხეცობას და აქეთ მოეშურებიან; დიდძალი გლეხობა მოაწყდა საზღვარს ამ დღეებში; მათ შორის 6 ქალია.

ჯუმაის მთელი მაზრა თავზარ დაცემულია; ყველგან გლოვა და გოდება ისმის. ქალებსა და დედა-კაცებს თავიანთ მშობლებისა და ქმარ-შვილის თვალ-წინ აუპატიურებენ. გლეხები იძულებულნი არიან ყოველივე გაჰყიდონ, აღებულ ფულით იარაღი იყიდონ და ოსმალებს გადასცენ; მხოლოდ ამ ღონის-ძიებით აიცილებენ თავიდგან მათს რისხვასა და ტანჯვა-წამებას. სოფ. ლეშკოსა, კიტანისა და ივანჩოს მცხოვრებნი გლეხნი, აგრეთვე ქარჯევოსა და სელიშეს მამასახლისნი, უკანასკნელს დღეში არიან, რადგან ოსმალებმა აწამეს იგინი, რატომ იარაღი დანიშნულს ვადაზე არ წარმოგვიდგინეთო; მაგრამ ამ საცოდავებს რა უნდა წარედგინათ, როდესაც სრულიად არა ჰქონდათ იარაღი. მათი ცოლ-შვილი, გაუპატიურებული და წამებული, ალბანელებმა წაასხეს. წუხელ დიდ-ძალი გლეხ-კაცობა ივლტოდა ბულგარიის საზღვრისაკენ. ოსმალეთის ჯარები დაედევნენ და მუსრი გაავლეს ქალებსა და ბავშვებსაო.

საფრანგეთი. საფრანგეთის სასამართლოს გამომძიებელი ლემერსიე, როგორც გაზეთები იუწყება, გადაყენებულ იქმნა სამსახურიდგან, და ჩამოერთვა წარმოება ცნობილ ემბერთა საქმისა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ლემერსიეს მცირეოდენი წინდაუხედაობა ჩაუდენია, უფრო-კი ფორმალურის მხრით, სახელდობრ ისა, რომ გაუხსნია წერილი ვიღაც პარერისა,—რომელიც თურმე კარგად ყოფილა ემბერის ოჯახთან,—მაგრამ ჩვეულებრივი წესი არ დაუცავს: მაგ., არ შეუტანია ოქმში ეს ამბავი, თვით წერილისათვის სახელმწიფო ბეჭედი არ დაუკრავს და სხ.

პარიჟის გაზეთთა უმრავლესობა მწუხარებას აცხადებს, ლემერსიეს გადაყენების გამო, რადგან იგი მიაჩნიათ ერთ საუკეთესო გამოცდილ, დახელოვნებულ და ნიჭიერ გამომძიებლად მთელს პარიჟში. არა ერთხელ გამოიჩინა მან თავი გამოძიებით სხვა-და-სხვა დახლართულ სასამართლო საქმეებში. ამ ჟამად იგი შეიქნა მსხვერპლი თავის გატაცებულის მუყაითობისა,—რაც უნდა გამიხდეს, მაინც მოვნახავ ბოროტ-მომქმედ ემბერის ოჯახობასაო, და თავს იდვა ეს სამძიმო საქმე.

როგორც გაზეთ „Matin“-ი იუწყება, ლემერსიეს პარიჟის საიდუმლო პოლიცია ვერ უწევდა ჯეროვანს დახმარებას, და იძულებული იყო კერძო აგენტებისათვის მიემართნაო. გაზეთს რამდენიმე მაგალითიც მოჰყავს ამის შესახებ. ლემერსიემ განიზრახა, თურმე, ემილ დორინიაკის შეპყრობა, რომელიც ბელგიაში იმყოფებოდა; ამისათვის საჭიროდ სცნო კვალში ჩასდგომოდა მის პარიჟელ ნათესავებს, რომელნიც ყოველ ორ კვირაში პარიჟიდგან ბელგიას მიემგზავრებოდნენ ჩრდილოეთ სადგურით. ამისათვის ლემერსიემ დაიბარა აგენტები, მისცა თითოს 500 ფრანკი, რომ გზაში არა შემოჰკლებოდათ-რა, და დაუწყო ლოდინი. მაგრამ, მისდა განსაცვიფრებლად, აგენტები იმ დღესვე უკან დაბრუნდნენ!..

— აბა, რა ჰქენით? ჰკითხა გამომძიებელმა.

— დალახვროს ღმერთმა, მატარებელმა გაგვასწრო; იგინი წავიდნენ და ჩვენ-კი დავრჩით...

— როგორ თუ მატარებელმა გაგასწროთ?!

— როდესაც სადგურზე მივედით, გაგვახსენდა, რომ მორი გზა გვქონდა სავალი, გავედით იქვე გაზეთების საყიდლად, რათა გზაში თავი შეგვექცია; ამ დროს კი ის ვერანა მატარებელმა ერთი შეჰკივლა და გასწია; ვერას გზით ველარ დავეწიეთ.

ლემერსიე წარმოუდგენელის მოთმინების კაცია; აგენტებს უბრალო საყვედურიც-კი არ უთხრა; გადასწვიტა, მეორედ კიდევა ვსცდიო.

ორი კვირის შემდეგ იმავ კაცების (ემბერის ნათესავების) სათვალთვალოდ დანიშნა იგივე აგენტები. ამ ჟამად აგენტები გაჰყვნენ მატარებელს, მაგრამ, რაღაც მანქანებით, სალკანტენის სადგურზე თვალიდგან დაჰკარგეს იგინი და ვერას გზით ველარ იპოვეს შემდეგ; თუმცა ნაბრძანები ჰქონდათ, არამც და არამც თვალი არ მოაშოროთო.

მესამედ სხვა აგენტები დაადევნა ზემოხსენებულ კაცებს ლემერსიემ, მაგრამ ბლანკენბერგის სადგურზე ისეთ ადგილას მოემწყვდნენ თურმე, რომ კინაღამ თვითონ დაიკარგნენ. გაზეთის სიტყვით, ლემერსიეს ერთი ისეთი საიდუმლო აგენტი (საპოლიციო სამსახურში მყოფი) არა ჰყოლია, რომ ბოლომდე მიჰყოლოდა იმ მგზავრებსა და კვალი მიეტანა მათ ბინაზე

როგორც იყო, ლემერსიემ იშოვა ორი კარგი აგენტი, ყოჩაღი, გამჭრიახი და სანდო კაცები.

საუბედუროდ, ერთხელ საიდუმლო სააგენტოს დაწესებულებაში ქება წამოსცდა ამ აგენტებისა,—ასეთი და ასეთი სამსახური გამიწიესო. მეორე დღესვე წაართვეს ეს აგენტები და ცენტრალურ განყოფილებაში ჩანიშნეს, სამწერლო საქმე მიანდვეს. ერთმა მათგანმა,—სახელად ლებრენმა—სამსახურში დაქვეითებად მიიღო ეს განკარგულება, გამოეცხადა თავის პირვანდელ უფროსს, გორონსა და სთხოვა, დამეხმარეთო; მაგრამ გორონის მეცადინეობამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამგვარად ლებრენი დარწმუნდა, გადაჭარბებული ბეჯითობა სამსახურში არ ვარგებულაო, თორემ წარჩინების მაგივრად, დამაქვეითებენო.

„Journal de Débats“-ი ლემერსიეს გადაყენების შესახებ შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

ლემერსიე მეტად სასტიკად დასაჯეს, უსამართლოდ მოექცნენ. მაგრამ თვით ამ უმადურობაში, რომლითაც მოეპყრო მას მთავრობა და უყურადღებოდ დასტოვა მისი ღვაწლი, იგი ჰპოვებს ნუგეშსა, რადგან საზოგადოების დიდს უმრავლესობას სწამს, რომ ლემერსიეს გულით ეწადა ემბერთა აღმოჩენა და კიდეც აღმოაჩენდა ბოროტ-მოქმედთაო.

ლემერსიეს თანამდებობის აღმასრულებლად დროებით დაინიშნა ვორმსი, მოსამართლე პირველის ტრიბუნალისა სენის დეპარტამენტში.

სერბია. სერბიელ გაზეთების სიტყვით, დიდად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავსტრიის მოყვარე ცინცერ-მარკოვიჩის რეაკციონულ კაბინეტის დანიშვნამდე ერც-ჰერცოგი ოტტო ფრანც-იოსები, ავსტრიის ტახტის მემკვიდრის ძმა,—საიდუმლოდ მივიდა ბელგრადს, დაჰყო იქ ერთი ღამე და მეორე დღეს უკანვე დაბრუნდაო.

რეაქციონურ რეჟიმის დამყარებამდე, რადიკალთა ორგანო „Oaiek“-მა, შეჰნიშნა თუ არა შავი ღრუბლები სერბიის საპოლიტიკო ცაზე, ხმა აიმაღლა და, სხვათა შორის, ერთი მეთაური წერილი დაჰბეჭდა ამ სათაურით: „და მერმე?!“ წერილში ნათქვამია:

„გენერალთა სიზმრებს მალე მოელის განხორციელება. იგინი გარდაიქცევა უსაზარლეს მუწუკებად რომელიც სერბიის ტანს მრავალ ჭრილობით დაჰფარავს. ის მცირეოდენი ნაჭირნახულევი, რომელიც დღეს ავად, თუ კარგად, აკმაყოფილებს ხალხსა, სრულიად განქრება; ის სუსტი კავშირი, რომლითაც შეერთებულია სერბია თავის ერთად-ერთ ნამდვილ მეგობარ რუსეთთან, ჩქარა გასწყდება. მის მაგივრად ხელს მიჰყოფენ ავსტრიის თაყვანის ცემას, და სერბიის დაღუპვის ხანაც დაიდგება. ახლო მომავალი სერბიისა— საშიში და შემაძრწუნებელია... ჩვენ ამას თამამად აღვიარებთ საქვეყნოდ. ან რა დასამალავია? ვის შეუძლია სთქვას, თუ არ ფლიდობით, რომ სერბიაში საქმე რიგიანად მოდისო.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ რეაქცია დიდხანს ვერ გასტანს; დარწმუნებულნი ვართ აგრეთვე, რომ ეს— უკანასკნელი ცდაა, რომლის შემდეგაც იგი სამუდამოდ დაიღუპება... და მერმე? რა იქნება მერმე? სერბიის ხალხი კიდევ წარსდგება წინაშე სამხედრო სასამართლოისა, კიდევ დაათხევს ალალ სისხლსა, და მრავალ უმანკო მსხვერპლს შესწირავს თავის წინ დაუხედაობას. მაგრამ შემდეგ რაღა მოხდება? მოთმინებასაც საზღვარი აქვს... პირველი სიტყვა, წარმოთქმული რეაქციის შემდეგ ხალხის მიერ, იქნება დადგენილება იმ კაცთა სიკვდილით დასჯისა, რომელნიც სამშობლოს ჯერ გათახსირებას და შემდეგ სამარეს უმზადებენ. დადგენილება იქნება სასტიკი, მაგრამ სამართლიანი... ბატონნო რეაქციონერნო, იმოქმედეთ, ხოლო იზრუნეთ ხვალისათვისაცაო“.

მაკედონია. გაზ. სოფიის „დღიურის“ სიტყვით, რაზლოგში ამ რამდენისამე დღის წინად მეამბოხეთა რაზმს, საევის მეთაურობით, და ოსმალთა ჯარს შორის ძლიერი ბრძოლა მომხდარა.

ოსმალთა ჯარის ორ რაზმს, ჯანყსა და ნისლში ვერ გაურჩევიათ და ვერ უცვნიათ ერთმანეთი, დაუშენიათ თოფები თავისიანებისათვის და მრავალი დაუხოციათ.

საზღვარს ახლო მდებარე სოფელ ბისტრიცაში (ჯუმაის მაზრა) ამ ჟამად დგას საზამთრო სადგომებში მთელი პოლკი ოსმალთა ჯარისა.

კრესნენის გასავალში ოსმალთა ჯარსა და ადგილობრივ მკვიდრ გლეხთა შორის კიდევ მოხდა ბრძოლა. ამ გლეხებმა აღარ ირწმუნეს ოსმალთა ფლიდი დაპირება და იარაღის დაყრაზე გადაჭრით უარი განაცხადეს. ჯუმათის მაზრაში მცხოვრებ გლეხთა შეადგინეს რამდენიმე რაზმი კარგად შეიარაღებულ მეომართაგან. იგინი მოსვენებას არ აძლევენ ოსმალთა ჯარებს: ხან აქ ესხმიან თავსა და ხან იქ. საერთოდ ჯუმაიის მიდამოებში საზამთრო სათარეშო ომია ოსმალთა და მეამბოხეთა შორის.

— ვენურ გაზეთს „Politische Correspondenz“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: თუმცა სამწუხაროა მაკედონიის ქრისტიანეთა უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ მაინც რუსეთის უმაღლეს წრეებში სრულიადაც არა ჰსურთ ამბოხების გაძლიერება. პირიქით რუსეთში ჰნანობენ, რომ უნაყოფოდ იღვრება ამოდენა სისხლი და ჰსურთ, ამბოხებას დროით მოეღოს ბოლო. აღნიშნულ ქვეყნების საპოლიტიკო მდგომარეობის შეცვლა რუსეთის მთავრობას სრულიად არ ეხება. პეტერბურგში დარწმუნებულნი არიან, რომ მეამბოხეთა მეთაურები, თუ ძალად არ დაიფარებენ თვალებზე ხელსა, უნდა მიხვდნენ, რომ რუსეთი კარგა ხანია, რაც სულ სხვა გზას ადგია: მისი პოლიტიკა სრულიად უარ ჰყოფს ისეთს მოქმედებას ბალკანეთის კუნძულზე, რომელსაც შეუძლია სხვა-და-სხვა უსიამოვნება გამოიწვიოს. უკანასკნელ ხანებში კიდეც დავრწმუნდით, რა სიკეთეც მოუტანა ასეთმა დინჯმა პოლიტიკამ და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პეტერბურგისა და ვენის კაბინეტთა შორის თანხმობა წარმოადგენს ძლიერს ფაქტორს, რომელმაც უნდა დაიცვას ერთის მხრით არსებული განწყობილობა და მეორეს მხრით ხელი შეუწყოს ბალკანეთის ქრისტიან მკვიდრთა მდგომარეობის გაუმჯობესობასაო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

მოკლე შინაარსი ჟ. ონეს პიესისა „მუშაკი და ნებიერი“, შემდგია: ჰერცოგ დებლენს (სვიმონიძე) უყვარს მდიდარ მარკიზის ნაზი, ფუფუნებაში აღზრდილი და განებივრებული ქალი კლარა (ნ. ჩხეიძე), რომელიც, აგრეთვე, თანაუგრძნობს თავის მოტრფიალეს საქმე თითქმის გათავებულია, ჰერცოგმა ჯვარი უნდა დაიწეროს, მაგრამ გაიგებს, რომ კლარას დედამ ერთი დიდი სადაო საქმე წააგო და მთელი საცხოვრებელი დაჰკარგაო. ჰერცოგი თავს ანებებს გაღარიბებულ საცოლოს და ნიშნავს ერთს მდიდარს, მაგრამ თავ-ქარიანს ქალსა—ათენაის, (ა. კარგარეთელი); კლარამ არც-კი იცის თავისი სიღარიბე, და როდესაც გაიგებს საქმროს ღალატსა, ზიზღითა და შურის ძიებით ივსება მისი ამაყი გული. ეს ბუნებით სუსტი არსება იშვიათ ხასიათის სიმტკიცეს იჩენს; გადაწყვეტილი აქვს, არამც და არამც არავის დაანახვოს, არავის აგრძნობიოს თავის განგმირულ გულის აუტანელი ტკივილი; ამ აზრით, შეხვდება თუ არა ჰერცოგს, დინჯის, თუმცა გესლიანის კილოთი მიულოცავს გაბედნიერებას, და, სანამ ეს უკანასკნელი თავის მართლებას დაიწყებდეს, კლარა კიდევაც გააცნობს თავის ახალ საქმროსა, ფილიპე დერბლეს (კ. მესხი), რომელიც სრულიად არ უყვარს, რადგან იგი არაა მაღალ წოდების პატრონი; კლარას ამით მხოლოდ ჰერცოგის დასჯა სწადიან, და იმას აღარ ჰფიქრობს, თუ რა მოჰყვება მის ჟინიანობას. დერბლე უბრალო მექარხნეა, დიდათ პატიოსანი, ყველასაგან პატივცემული, წრფელი და მართალი კაცი; კარგა ხანია გაგიჟებით უყვარს კლარა, მაგრამ მასთან შეუღლებაზედ ფიქრსაც კი ვერა ჰბედავს. ეხლა-კი, როდესაც კლარამ თავად აირჩია საქმროდ, ცას ეწევა სიხარულით, უბედნიერეს ადამიანად მიაჩნია თავისი თავი. მხოლოდ როცა ჯვარს დაიწერს, და მარტოდ დარჩება თავის ცოლთან, დარწმუნდება, რომ სასტიკად მოსტყუვდა: კლარა, მოსიყვარულობის მაგივრად, ზიზღით უარ ჰყოფს დერბლეს ალერსსა. სწორედ წარმოუდგენელია ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც გრძნობს ეს უდანაშაულოდ დასჯილი, გაუბედურებული კაცი. რისთვის შეუ-

---

ქიათურლები იძულებულნი არიან საჩხერეში იარონ თავიაანთ სასამართლო საქმეების გამო, და ქიათურა-კი 18-ის ვერსით დაშორებულია ჩაჩხერეზე.

გადვიდეთ ეხლა აქაურს ქსენონზედ, რომელიც დღეს ვერაფერს კეთილს მდგომარეობაშია და ვერაფრადაც ასრულებს თავის დანიშნულებას. თუმცა ყოველ წლიურად მის შესანახად **ოცი ათას** მანეთამდე იხარჯება!!. იქმნება, მკითხველო, ამ ჯამმა გაგაკვირვოთ, მაგრამ ინებეთ და გადაშალეთ წარსული კრების ხარჯთ-აღრიცხვა (საბჭოს შრომა გვ. 139), სადაც თქვენის თვალით ნახავთ, რომ ამ ქსენონის შესანახად ყოველ წლიურად გადადებულია 19,273 მანეთი. სასურველია ვიცოდეთ, მართლა იხარჯება ეს ფული ხსენებულ ქსენონის შენახვაზედ, თუ არა,—თუ ხმარდება, რაში იხარჯება, რადგან, ჩვენ რამდენადაც გვესმის, იქ ავადმყოფებს უფრო ძვლებითა ჰკვებავენ და არა ხორცით. ასეა, თუ ისე, ეს საკითხი მომავალ კრებაზედ სავსებით და ნათლად უნდა გამოირკვეს.

ვერ ვეტყვით საბჭოს მადლობას იმისთვისაც, რომ ამავე საავადმყოფოს ახალი შენობისთვის გადადებულია **სამოცდა ორი** ათასი მანეთი, რომლითაც შესამჩნევი საავადმყოფოს შენობის აგება შეიძლებოდა, მაგრამ აშენებას საქმე უნდა, საქმეს-კი დრო, მხოლოდ ეს უკანასკნელიც ხშირად ვერ არის ჩვენ საბჭოს ხელთ, თუმცა ამ მეტად საჭირო შენობას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი მუშა ხალხისათვის.

ურიგო არ იქნება ყურადღება მივაქციოთ დღეს ქიათურელებისათვის უმთავრესს და თავსამტვრევ საგანს—გზების უვარგისობას. ამ საგანზედ აუარებელი ფულებია გადადებული *) ყოველ წლიურად ოცდა ათი ათასი მანეთი, მხოლოდ ერთ დროებით კიდევ 33,103 მანეთი. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს დიდი ფულია და საჭიროც იყო ამ თანხის გადიდება, რადგანაც გზები დღეს ერთად ერთ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენში და განსაკუთრებით, ქიათურის ხრიოკ მთა-გორებში. გზების სიკარგეს დიდი მნიშვნელობა აქვს თვით შავიქვის მრეწველობისთვის, გარნა „ნაბერავის“, „ნაფარცხევის“, „კილავართის“ და სხა მრავალი ასეთი მადნების გზები რომ ნახოთ, სცნობთ, თუ რა ჯოჯოხეთური სავლელია ეს ადგილები დღესაც!

უყურადღებოდ დასატოვებელი არ არის თვით ქიათურის ქუჩები, რომლებიც ცოტა წამოწვიმვის შემდეგ ტლაპოს გუბეებად იქცევა. ამ ქუჩების მოსაკირწლავად და გასაკეთებლად ცალკე გახლავთ გადადებული 3311 მანეთი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არა მგონია, სადმე შეხვდეთ ისეთს ოღრო-ჩოღრო და უსწორ-მასწორო კისერ მოსატეხ ქუჩებს, როგორც ეს ქიათურაშია. მოდი ეხლა და კიდევ ვთქვად, **„ფული რომ გვქონდეს, ბევრ რასმე გავაკეთებდითო“**!..

ვსთქვათ ახლა სასწავლებლების შესახებაც. რავდენი სასწავლებლები არსებობს აქ?! ერთი ერთ-კლასიანი სამრევლო და ერთიც საკვირაო, აი, სადამდის მისულა სწავლა-განათლების საქმე იქ, სადაც ამოდენა საქმე და წარმოებაა და სადაც ამოდენა ფული ტრიალებს! მე მგონია, ურიგო არ იქნებოდა ასეთ ალაგას, სადაც ცოტად თუ ბევრად მატერიალური გარემოება ხელს უწყობს კაცს, უფრო მეტი ყურადღება მიჰქცეოდა სწავლა-განათლების საქმეს. მომავალი კრება, დარწმუნებული ვარ, ერთს ოთხ-კლასიანს სასწავლებელს მაინც დაარსებს.

წარსულ კრებაზედ ერთხმად მიენდო საბჭოს ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, რომ მუშების ანგარიშების გასწორება ყოფილიყო შაბათობით და არა კვირაობით, რომ საკვირაო სკოლას არ მოსცდენოდნენ მუშები და მათი თავისუფალი დრო სხვაფრივ განაწილებულიყო. საკვირაო სკოლასთან არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ თეატრი და ბიბლიოთეკაც. თეატრის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ცალკე წერილში მოვილაპარაკებთ, ხოლო ბიბლიოთეკაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უკანასკნელი ტყვილად ატარებს ამ თავისდა შაუფერებელ სახელს, თორემ აქ არავითარი წიგნების საცავი არ არის და მას შემდეგ, რაც აქ საბჭომ ხსენებული წიგნთსაცავ-სამკითხველო გახსნა, ერთი წიგნი რა არის, არ შეუძენია, როგორც რუსული, ისე ქართული, თუმცა კითხვის მსურველი უამრავია.

გადავიდეთ ახლა მუშების დაზღვევის საქმეზედ. წარსულს კრებაზედ გადაწყვიტეს მუშები დაზღვეულიყვნენ უსათუოდ. დღეს უკვე დაზღვეულია „რასიაში“ და ყოველ წლიურად ამისთვის იხდიან **შვიდი ათას** მანეთს. მოაქვს ამ ფულს თავის შესაფერი სარგებლობა მუშა ხალხისთვის, თუ არა? ჩვენ არ ვიცით, საბჭოს რა პირობებით შეაქვს ხსენებული ფულები დამზღვ. საზოგადოებაში. მაგრამ რამდენათაც ვიცით, ამ ფულებს ჯერ არავითარი შესაფერი სარგებლობა არ მოუცია დაშავებულ მუშათათვის. დაშავებული მუშა, თუ რომ არ მოკვდა, ვერაფერს ღებულობს, და ისიც ვიცით, რომ სიკვდილის შემდეგაც უარი უთხრეს ზოგ მუშის ჭირისუფლებს. იმ მიზეზით, რომ „თავის დროზედ არ განაცხადეთო“!..

და ბოლოს, ურიგო არ იქმნება, ჩვენი ყურადღება აქაურ აბანოსაც მივაქციოთ, რადგანაც ეს არისო უმთავრესი სიკეთე ჩვენის საბჭოსი და, ბრუნდი თუ მართალი, იმაზედ გვითითებს: „ნახე საბჭომ რა სიკეთე გვიყო, რა აბანო აგვიშენაო“ და სხვ... მართლაც, ეს აბანო შესანიშნავია როგორც გარეგნობით, ისე შიგნითი მოწყობილებითაც. (ამბობენ, რუსეთში სრულიად არ არის ასეთი აბანოვო). იგი 75—80 ათას მანეთამდე დაჯდა. ვის შეუძლიან სთქვას, რომ კარგი—კარგი არ არისო, მაგრამ არ შეიძლება ყოველივე **„კარგს“** თავისი დანიშნულებაც არ მიეცეს **„სიკეთის“** და **„სარგებლობის“** მხრივ... აბანოს ასაშენებლად იყო გადადებული **რვა ათასი** მანეთი და, როგორც ვხედავთ, ეს ჯამი ერთი ათად გაადიდეს! ჩემის აზრით, ასეთი დიდი და შეუფერებელი ხარჯი იქ, სადაც ყოველივე დროებითია და სადაც დღეს არის წარმოება და 20—30 წლ. შემდეგ შეიძლება სულაც არ იყვეს, ვერ არის მაინც და მაინც გონივრული, მით უმეტეს, რომ თუ-კი საბჭოს ჰქონდა საშუალება და მეტი ფული, ეს ფული შეეძლო სხვა ნაირად მოეხმარა.

დღეს ამ სანაქებო აბანოს არ შეუძლიან მუშებს იმის მესამედი სარგებლობა მოუტანოს, რაც დაიხარჯა. ამ აბანოთი ჯერ ვერ სარგებლობენ ის მუშები, რომლებიც ქიათურაში არ სცხოვრობენ. სულ სხვა იქნებოდა, საბჭოს რომ ერთი აბანო ქიათურაში აეშენებინა, მეორე ჭიქოურაში ანუ დარკვეთში, რომ თვითოეულს მუშას მიეცემოდა შეძლება ესარგებლნა რიგიანი აბანოთი, ყველა დაგვეთანხმება, რომ ყოველ შაბათ საღამოს ჭიქოურიდგან და დარკვეთიდგან (პირველი 4-ისა და მეორე 6-ის ვერსით დაშორებულია ქიათურაზე) მუშა ვერ ჩამოვა ქიათურაში საბანაოდ!

სად არის აქ „სიკეთე და მოღვაწეობა“?.. მაგრამ ამას მე არ შევეხები, დეე ეს თვით კრებამ დაააფასოს. ვინ იცის, იქნებ ბევრს აუსრულებელს საქმეს თავის საპატიო გასამართლებელი საბუთები ჰქონდეს.

თითქმის უმეტესობას არც-კი გვესმის, რა არის საზოგადო კრება, ან რა არის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ყოველი ჩვენთაგანი, უმეტეს ნაწილად, რომელიმე კრებაზედ მიდის თავის კერძო ინტერესების დასაცველად და არა „საზოგადოსი“. ჩვენ არ ვიცით, რომ კერძო ინტერესმა ადგილი უნდა დაუთმოს საზოგადოს. აქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი შენ ჩემობას, ნაცნობ-ნათელ-მირონობას და არც ირავითარ პირად უკმაყოფილებას... ყოველივე ეს ამ დღისთვის უნდა მიეცეს დავიწყებას და ყველანი უნდა წარვსდგეთ კრებაზედ საქმისადმი სიყვარულით და ერთურთის პატივისცემით გამსჭვალულნი. ჩვენში-კი ყველგან პირადობა და შენ ჩემობა უთხრის ძირს კარგს საქმეს და თუ შავი ქვის მრეწველები შესძლებენ აიცილონ ეს ქართველური ნაკლი, შავი ქვის საქმეც უფრო კარგად წავა.

სიმართლე.

---

*) არ ვამბობ, „იხარჯებაო“, რადგანაც რამოდენიმე პირთაგან გავიგონე, რომ ეს ფულები მესამედი არ იხარჯება გზებზედ და თქვენი საყვედური ტყუილ უსაფუძვლოაო“. მაგრამ მე-კი ისევ იმას ვიტყვი, რომ თუ ეს მართალია, მით უფრო სამწუხაროა, რადგანაც ეს ფულები მიტომ გადადვეს, რომ გზები გვექმნესო. უადგილო ეკონომია სისულელედ უნდა ჩაითვალოს.

ავტ.

რაცხყვეს მისი წმინდა გრძნობანი, რად დასცინეს ასე შეუბრალებლად; მერე ვინ? ისეთმა ადამიანმა, რომელსაც ალმერთებდა, ფეხქვეშ ფიანდაზად ეგებოდა, მზე და მთვარე იმაზედ ამოსდიოდა. თუმცა ასე მოულოდნელი იყო მისთვის კლარას მხრით ზიზღი, რომელიც მეხივით დაატყდა თავსა, მაგრამ არ შედრკა შრომა-ჯაფაში ნაწრთობი გული მხნე მუშაკისა, იქვე, რამდენისამე წუთის განმავლობაში, შეურიგდა თავის ბედსა და გადასცა ნაზ მტარვალს თავისი შეურყეველი გადაწყვეტილება: რაც მოხდა, მოხდა; მხოლოდ ეს ამბავი ჩვენს შორის დარჩება. ჩვენ ერთს ჭერ ქვეშ ვიცხოვრებთ და ქვეყნის თვალში ნამდვილი მოყვარული ცოლქმარი ვიქნებითო. ნებაცა მაქვს და კიდეც შევსძლებ ეს მცირეოდენი სურვილი მტკიცედ დავიცვაო. კლარა ჩაუფიქრდება თავის მდგომარეობას; თანდათან რწმუნდება, რომ მისი ქმარი ყოვლად ღირსეული კაცია, სწორედ თითით საჩვენებელი; გული მოულბება, უნდა შეინანიოს თავისი დანაშაული, მაგრამ თან-შეზრდილი და შესისხლხორცებული სიამაყე ნებას არ აძლევს ქედი მოიხაროს და ბოდიში მოიხადოს. საოცარი ბრძოლაა მის გულში; ჰგრძნობს, რომ ქმარი არამც თუ მოსწონს, გაგიჟებით უყვარს, მხოლოდ ვერ მოუხერხებია, როგორ მოუაროს თავსა. რამდენადაც ძლიერდება ამ ნებიერ და გულ-ზვიად ქალის გულში ქრმისადმი სიყვარულის გრძნობა, იმდენად მატულობს ეჭვიანობა; ჰერცოგის მეუღლე, ათენაისი, პატარაობიდანვე მოქიშპე კლარასი, სულ მუდამ იმასა სცდილობს, რომ დასჩაგროს იგი, აგრძნობიოს,—მე ვარ გამარჯვებული და ბედნიერი, ხომ დავსთრგუნე შენი სიამაყეო; ეარშიყება დერბლეს მხოლოდ იმ აზრით, რომ კლარას მოუკლას გული, დაუმტკიცოს, რომ მრავალი მოტრფიალე, თაყვანის-მცემი ჰყავს. მოთმინებიდგან გამოსული კლარა საჯაროდ შეურაცხჰყოფს ათენაის—თავის სახლიდგან აგდებს. რასაკვირველია, ცოლის შეურაცხჰყოფა ქმრის შეურაცხყოფაა, და ამიტომ ჰერცოგი დაკმაყოფილებას თხოულობს: დერბლე უპასუხებს, — მე მუდამ მზადა ვარ პასუხი ვაგო ჩემის ცოლის ყოველს საქციელისათვისაო. კლარა მთლად შეიპყრო ქმრის საოცნებო დარბაისლურმა მამაცობამ. მხოლოდ ეხლა გრძნობს სავსებით, თუ რა შეუნდობელი დანაშაული მიუძღვის მის წინაშე; მუხლ-მოყრით ევედრება პატიებას, მაგრამ დერბლე მტკიცედ ადგია თავის გარდაწყვეტილებას. როდესაც ჰერცოგი და დერბლე დაუმიზნებენ ერთმანერთს დამბაჩებსა, სწორედ იმ წუთს, როცა ჩახმახს უნდა გამოჰკრან ხელი, იქვე ბუჩქებში მიმალული კლარა შუაში ჩავარდება, და ჰერცოგის დამბაჩის ტყვიით კლავში დაიჭრება. ყველანი განცვიფრებულნი მისცვივიან; დერბლე ხელსა ჰხვევს და უნდა გონებაზედ მოიყვანოს; მისუსტებული მკლარა ემუდარება,—მითხარ მხოლოდ ამ უკანასკნელად მაინც, რომ გიყვარვარო". დერბლე, გაფითრებული, ათრთოლებულის ხელებით გულში ჩაიკრავს და ეუბნება,—შენ ღმერთი ხარ ჩემიო.

ასეთია პიესის მოკლე შინაარსი; დანარჩენი მომქმედნი მხოლოდ იმისათვის არიან გამოყვანილნი, რომ ხელი შეუწყონ კლარასა და დერბლეს სავსებით დახასიათებას; ამას ჰმოწმობს თვით პიესის სათაური „მუშაკი და ნებიერი".

რაიც შეეხება შესრულებას, გულ-ახდით უნდა ალვიაროთ, რომ ხუთშაბათის წარმოდგენა ერთი საუკეთესო წარმოდგენათაგანი იყო ჩვენს სცენაზე ამ სეზონში. ყველას სავსებით შეეგნო თავისი როლი. არც გადაჭარბება, არც უაზრო ხელების ფათური და ნაძალადევი მიხვრა-მოხვრა, არც სახის შეუფერებელი მეტყველობა სულის კვეთების აღსანიშნავად, არავის არ ემჩნეოდა; მხოლოდ, გუშინაც აღვნიშნეთ, რომ დოქტორმა (რომელიც, ვგონებთ, პირველად იყო სცენაზე) ქუდის მოხდა ვერ მოახერხა რიგიანად, და კინაღამ სიცილი გამოიწვია საზოგადოებაში სრულიად უდროო დროს.

გამარჯვების გვირგვინი, უეჭველია, ქ-ნმა ნ. ჩხეიძემ და ბ-ნმა კ. მესხმა დაიმსახურეს. ამ ახალგაზდა მსახიობ ქალის თამაში სწორედ გულის სიღრმემდე გწვდება, სულს გინათებს; შეუძლებელი იყო მეტის სინამდვილით აღნიშვნა ზნეობრივ წამებისა, რომელსაც ჰგრძნობდა ნაზი, მაგრამ ამაყი და განებივრებული არსება; ვერ დავასახელებთ ვერც ერთს ნაკლსა, ვერ ვიტყვით, მსახიობმა ამა და ამ ალაგას ულალატა სინამდვილესაო; მშვენიერი, დარბაისელი მიხვრა-მოხვრა, საამური ხმა და მკაფიო გამოთქმა, საუცხოვო გარეგნობა, შეგნება და სავსებით გამსჭვალვა მომქმედ პირის მდგომარეობით—აი, ის უცილობელი ღირსებანი ქ-ნ ჩხეიძისა, რომლითაც ჰხიბლავს მაყურებელს.

კოტე მესხის თამაშის შესახებ იმდენი რამ თქმულა და დაწერილა, რომ ახალს ვერას ვიტყვით. მხოლოდ ჩვენის აზრით, ეს მსახიობი, ზედმიწევნით მცოდნე სცენისა, გარეგნობით, ყოველთვის აკმაყოფილებს მაყურებელს, იშვიათად შეამჩნევთ შეუფერებელს მოძრაობას, ან სიტყვას, ან კიდეც სახის მეტყველებას, მაგრამ, ხანდახან გგონიათ, თვით მსახიობი არ თანაუგრძნობს მომქმედ პირსა, არა ჰგრძნობს იმ სულიერს მწუხარებას, რომელშიაც გარემოებამ ჩააყენაო. ამ ჟამად-კი, მსახიობის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ მან კეთილშობილ, გულ-წრფელ მუშაკ დერბლეს მხნე გული სავსებით გადმოგვიშალა სცენიდან და გვაგრძნობინა სული დიდ-ბუნებოვანის შრომის შვილისა. დერბლეს ასე ხელოვნურად გაპიროვნებით, ბ-ნმა კ. მესხმა სრულიად შეიპყრო ყურადღება მაყურებელთა და გამსჭვალა იგინი იმ თანაგრძნობით, რომელიც უნებლიედ იბადება ადამიანის გულში უსამართლობით დასჯილისა და წამებულისადმი.

ბათუმი. ტასო აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს „ტარტიუფი". საზოგადოება, უნდა ითქვას, მხოლოდ ამ წარმოდგენას დაესწრო, სხვა წარმოდგენებში-კი თეატრი ცარიელია ხოლმე. ეს წარმოდგენა იმით იყო შესანიშნავი, რომ ორი უნიჭიერესი ჩვენი მსახიობთაგანი იღებდა მონაწილეობას ტასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

ამვროსი.

ნარკვევი

„Вѣст. Европы"-ს ნოემბრის ნომერში სხვათა შორის მარტენსის „ამერიკის შთაბეჭდილებანია" მოთავსებული. ავტორი შემდეგის სიტყვებით ასრულებს თავის წერილს:

> რამდენად ღრმად გავიცანი ამერიკის ხალხი, იმდენად მეტი სურვილი დამებადა, რომ მთელი ქვეყნიერობა გააამერიკელოს ამ ხალხმა, რათა დედამიწის ზურგს მოეფინოს იმ დიდებულ სოციალურის ცხოვრების ნაყოფი, რომელიც მოსდევს შედეგად ამერიკის საზოგადოებრივსა და სახელმწიფო წესწყობილობას.
>
> მთელი ხალხი ერთობისა და ერთ-სულობისაკენ მიისწრაფის; დარწმუნებული, რომ „შრომა გაიმარჯვებს", დიდის იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ გაერთიანების ნიადაგზე ძველი და ახალი ქვეყანა ერთმანეთს უახლოვდება. ევროპასა და ამერიკას შორის მშვიდობიანობის და თანხმობის ხიდი იდება.
>
> ზრუნვა, რომ ეს მშვიდობიანობა დაცულ იქმნას, აი, რა უნდა იყოს სახელმწიფო მოღვაწისა თუ პოლიტიკურის მოაზრის დედა-აზრი.

კაი რამ არის მშვიდობიანობა, მაგრამ დღევანდელს ვითარებაში, ეს არ მოხერხდება. ვიდრე ქვეყანაზე იქნება დამჩაგვრელი და დაჩაგრული, მდიდარი და ღარიბი, მანამდე მშვიდობიანობის დამყარებისა და ომიანობის მოსპობის ფიქრი ტყუილი ოცნებაა...

ნარევი და ნაკვესი

ადვოკატთან.

— თქვენს საქმეს ვერ გიკისრებ.

— რატომ?

— ვხედავ, რომ მტყუანი ხართ.

— გაგონილა! მართალი, რომ ვიყო, ადვოკატი რაღა ეშმაკად მომინდებოდა!

ცოლ-ქმარი

ქმარი. (გამოართმევს ცოლს ჩაით სავსე სტაქანს). ეს რა არის, ჩემო სიცოცხლევ, ჩაიში ჭიაა.

ცოლი. (შეჰხედავს სტაქანს) აი, შენ ყოველთვის ეგრე იცი! ყოველთვის უმიზეზოდ მაყვედრი, ყოველთვის ტყუილს ცილსა მწამებ, ყოველთვის ტყუილად ჩამაცივდები ხოლმე! სად არის აქ ჭია! ეს ხომ ობობა არის!

წერილი

რედაქციის მიმართ.

I

გამგე კომიტეტი ახალციხის სქველმოქმედო საზოგადოებისა უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ გაზეთ „ივერია"-ში შემდეგი:

„თავად-აზნაურობის წლევანდელმა საგანგებო კრებამ კეთილინება და შემოსწირა ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების პირველ დაწყებითს ქალების სკოლას ხუთასი მანეთი, რომელიც საზოგადოებას უკვე მოუვიდა.

გამგე კომიტეტი საზოგადოებისა, ამ უხვისა და ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების ისტორიაში უმაგალითო შემოწირულობისათვის უდრმეს მადლობას უძღვნის ტფილისის გუბერნიის კეთილშობილ წოდებას და მის მარშალს თავად დავით ზაქარიას ძეს მელიქიშვილს.

გამგე კომიტეტი მადლობასა სწირავს აგრეთვე მეორე ქველმოქმედს, აბასთუმნის სამკურნალო წყალთა დირექტორის და აბასთუმნის სამხედრო საავადმყოფოს უმთავრესის ექიმის, ილია ზურაბის ძე გოპაძის მეუღლეს ქ-ნ მარიამ სვიმონის ასულს გოპაძეს, რომელმაც შრომა მიიღო და გამართა კვლავინდებურად წარმოდგენა დ. აბასთუმანს, საიდგანაც საზოგადოებას დარჩა წმინდა შემოსავალი 101 მან. და 57 კაპეიკი".

თავმჯდომარე საზოგადოებისა მ. გამრეკელისა.
საზოგადოების მდივანი და ხაზინადარი ალ. ყიფშიძე.

II

1901 წელს, ენკენისთვის დამდეგს ქუთაისში დაარსდა სავაჭრო ამხანაგობა ქუთაისის დურგლებისა და „აბოიშჩიკებისა". მიზანი ამხანაგობისა იყო: წევრებს თავიანთი ნახელავი უნდა მიეტანათ საამხანაგო მაღაზიაში და მიეყიდნათ ან და დაეტოვათ კომისიით გასასყიდად.

ხელ-შეკრულობის ძალით ამხანაგობა დებულობს ახალ წევრებს დიდის სიფრთხილით.

ამხანაგობა დაარსდა თუ არა, ამორჩეულ იქმნენ გამგეობა და სარევიზიო კომისია. პირველ ექვს თვეს ამხანაგობის საქმეები მიდიოდა წყობილად, მაგრამ ჩვეულებრივმა დაღატმა იჩინა თავი. ერთმა დამფუძნებელთაგანმა წევრმა ს. ტ—ძემ არივდარია ამხანაგობის საქმეები. ამხანაგობის გამგეობამ დაიბარა ბათომიდგან კარგი ხელოსანი, ხოლო, წინააღმდეგ ამხანაგობის ხელშეკრულობისა, მან თავის ნაწარმოების გაყიდვა მოინდომა იმ პირზედ, რომელიც ამხანაგობას მეტოქეობას უწევდა. და მრავალი სხვა, ამხანაგობისათვის არა სასხეირო საქციელი ჩაიდინა. ამხანაგობა იმ ზომამდე იყო მიყვანილი, რომ იძულებული შეიქმნა, თანახმად ხელშეკრულობისა, გამოერიცხა იგი ამხანაგობიდგან დახურულის კენჭის ყრით (ერთხმად, წინააღმდეგ ერთის ხმისა). ამასთანავე ამხანაგობამ დაადგინა, უოგვიანოდ მისი მოტანილი საქონელი, რომელიც ამხანაგობას არ შეუძენია მისგან და დატოვებული იყო საკომისიოთ, უკანვე დაუბრუნდეს, აგრეთვე მისი საწევრო ფული.

ცხადად დაინახავს მკითხველი, ს. ტ—ძე რა გულმოსული უნდა იყოს ამხანაგობაზე. მას თავის თავი ყველაზედ უკეთესად მიაჩნია, არა თუ ჩვენს ამხანაგობაში, არამედ მთელს ამქარშიაც.

აწ ს. ტ—ძეს უშოვნია ერთი ამხანაგი ივ. გოც—ძე და გაუღიათ საერთო სავაჭრო მაღაზია და გაუკრავთ ქუთაისის ქუჩებზედ შემდეგი განცხადება:

„გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ გამოვეყავით-რა ქუთათურ „სტოლიართა" სავაჭრო ამხანაგობას, დაგვრჩა მრავალნაირი ოჯახის ავეჯეულობა".

ვკითხოთ ბ-ნ ი. გოც—ძეს, როდის იყო იგი წევრად ჩვენის ამხანაგობისა, ან როდის ჩაეწერა ან როდის შემოიტანა საწევრო ფული?

შეიძლება სიზმარში იყო, როდესაც ზემორე აღნიშნულს განცხადებაზე ხელს აწერდა!

დასასრულ მოვახსენებთ პატივცემულს მკითხველს, რომ ქუთაისის „სტოლიართა და აბოიშიკთა" ამხანაგობა ისევ განაგრძობს თავის საქმეებს და, გარდა გამორიცხულის ს. ტ—ძისა, ყველა წევრები თანხმობით და პირიანად აწარმოებენ თავიანთ საქმეს. *)

მიხეილ ეკვიაშვილი.

---

*) ამასთანავე რედაქციას მოუვიდა ქუთაისის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ოქმი შესახებ ს. ტ—ძეს დათხოვნისა „სტოლიართა და აბოიშჩიკთა" ამხანაგობიდგან. რედ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

15 ნოემბერი

ბომბეი. მოვიდა კიტჩენერი და მიღებულ იქმნა მთავრობისა და ინდოეთის ლაშქრისაგან.

სტამბოლი. სულთნის ნახვის დროს რუსის დესპანმა მოითხოვა, მალე შემოიღონ რეფორმება მაკედონიაში, როგორც სადსარი ამბოხების ასაცილებლად. ავსტრია მხარს უჭერს ამ განცხადებას.

პარიჟი. პოლიტიკურს წრეებს და ჟურნალ-გაზეთობაში თანაგრძნობით ეკიდებიან მმართველობის დაწესებას სახელმძღვანელოდ საზღვაოსნო სავაჭრო საქმეებისა და ხელმწიფე იმპერატორის მიერ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის ამორჩევას უფროსად. «Journal"-მა გამოაქვეყნა ამბავი, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს დაწესებულება ფრიად დიდ-მნიშვნელოვანიაო, რუსეთს მისცემს შეძლებას უპირატესი ადგილი დაიჭიროს მსოფლიო ვაჭრობაშიო, ამასთანავე უეჭველად სრულდება ვრცელი შეხედულებანი ფინანსთა მინისტრისაო. უფროსის გამორჩევას საბედნიერო მნიშვნელობა აქვს: დიდი მთავარი—სახელოვანი ზღვაოსანია საიმპერატორო ფლოტისა, მისი უმაღლესი მდგომარეობა შესძლებს დასძლიოს დაბრკოლებანი, რომელნიც თანსდევს დიდ-მნიშვნელოვან დარგის დაწესებას.—Journal des Debats" და სხვა ორგანოები ამავე აზრისანი არიან.

ტულონი. ხმელთაშუა ზღვის ესკადრა -12 გემი წავიდა ტეტუანის სრუტეს.

ლონდონი. კრუიცინგერი, ჟუბერი და ფუშე წავიდნენ ამერიკაში.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში" დაბეჭდილია შემოწმება საშინაო ზღვებში მოცურავე გემებისა.

16 ნოემბერი.

პარიჟი. სენატი შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც დაემატება ასოციაციათა კანონს.—პალატამ უარ-ჰყო საწინააღმდეგო პროექტი ლაზისა 442 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 58-სა, და მიიღო როზას წინადადება. მთავრობას, წინააღმდეგ კომბისა, ნეიტრალად ეჭირა თავი. საბიუჯეტო კომისიამ საყურადღებოდ სცნო ვუაროსის მოხსენება.

ბერლინი. სოციალ-დემოკრატებმა რეიხსტაგში არეულობა მოახდინეს. იძულებულნი გახდნენ კრება შეეწყვიტათ, და მეორე დღისათვის გადაედოთ.

პარიჟი. მინისტრ-პრეზიდენტ კომბმა განუცხადა ბიუჯეტის კამისიის მომხსენებელ კამისიას, ჩემს მოხსენებაში ვერ ვიხელმძღვანელებ გენერალ ვუარონის მოხსენებითაო — ჰონგკონგი.

პარიჟი. ლუბემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც სცვლის განკარგულებას კონგრეგაციათა მიჩნევის შუამდგომლობის შესახებ. მინისტრთა საბჭომ მიიღო წინადადება მამაკაცთა 60 კონგრეგაციის მიჩნევისა.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით პოსი, რომელთაც ხელი მოაწერეს თხოვნას კონგრეგაციათა სასარგებლოდ, დამნაშავედ იქმნა ცნობილი უფლებათა აღმატებაში.

პარიჟი. როზმა პალატაში შეიტანა წინადადება, მოხერხებულია დეპუტატობა და პარიჟის მუნიციპალურ საბჭოს წევრობა ერთსა და იმავ დროსაო.

პეტერბურგი. რიაზანის ეპისკოპოსმა პოლიევქტომ ავადმყოფობის გამო თავი დაანება.—მედიცინის დოქტორი ზანდერი დაინიშნა მისი უმაღლესობის კარის ექიმად.

სოფია. ალექსანდრე II ძეგლის ასაგებად კომიტეტმა კონგრესი დანიშნა; პრემია 10,000 ფრანკია.

ბელგრადი. სერბიის სადიპლომატო მისიაში დიდი ცვლილებები უნდა იქმნას შემოღებული.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6¹/₂°/₀
4°/₀ სახელმწიფო რენტა	97 ¹/₈ გაყ.
4°/₀ სახ. სესხი 1902 წ.	99⁵/₈ წვრ გაყ.
4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¹/₂ მყიდ.
5°/₀ 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482¹/₂ გაყ.
5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373³/₄ წვ. გაყ.
5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	298 წვ. გაყ.
5°/₀ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88¹/₂ გაყ.
4¹/₂°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5°/₀ ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⁷/₈ გაყ.
4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6°/₀ ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	490 გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა	4450 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	413 გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	194 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი

სამოსამართლო პალატაში დანიშნული საქმეები 30 ნოემბერს:

1. თედორე პილაგანისა და იორდანე სურმავას საქმე.
2. ეფემია ჩიქოვანისა და არტემ სიმონიანცის დავა.
3. ეპიფანე ცაგარლისა და ერასტე კაწარავას დავა.
4. როსებ, ლუარსაბ, გიორგი და დათა ფარცხვერაშვილის და ბიჭია და ნესტორ საცერიძეს დავა.
5. ალექ. და სენო მხეიძისა და ვასილ კიკნაძის დავა.
6. მიხ. დრეკელოვისა და მარკინის დავა.
7. პავლე ბოცაძისა და გედევან ბატიაშვილის დავა.
8. ლუკა ბახისა და უტო ბახია სადავო საქმე.
9. სლუჩევსკისა და ოლღა მელიალქოვის დავა.
10. დედულა ხურცინოვისა და ზალიკო და ხოხა კუხიანოშვილის დავა.
11. თავ. მიხეილ ლორთქიფანიძისა და თავ. ასლან ლორთქიფანიძის დავა.
12. ნიკოლ. წყობილაძისა და გიორგი და ილარიონ ფურცხვანიძეთა დავა.
13. გ. გძელიშვილისა და მიხ. ბაქრაძის დავა.
14. ეკ. ტატუნაშვილისა და გაბოსი, ლექსოსი და ფარსო კონდარაშვილების დავა.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Духи
„Фируэ"

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინის	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10

ხ რ ო მ ო - ლ ი ტ ო გ რ ა ფ ი ა
კონგრეფო—სარელიეფო
დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა

ვაცნობებ ბ-ნთ მუშტართ, რომ მე შევიძინე უკანასკნელი სისტემის კონგრეფო-სარელიეფო მანქანა ელექტრონის მოწყობილობით. აგრეთვე მოწვეული მყავს რუსეთიდან საუკეთესო მხატვრები და გრავიორები და ყოველი ღონის ძიება ვიხმარე, რომ ყოველი სამუშაო შევასრულო საუკეთესოდ. სალიტოგრაფიო საქმე ვისწავლე გარედ, ვისწავლე **კონგრეფო-სარელიეფო** სამუშაოს, რომელიც ტფილისისათვის სრულიად ახალი საქმეა, ესე იგი ჯერ არავის არა აქვს. რომ ყველა ამათ ვასრულებ საუკეთესოდ, ამაში ვინც დარწმუნდებიან ჩემი ნამუშევარის შედარებით რუსეთის საუკეთესო ფირმების ნამუშევართან. ფირმა არსებობს 1876 წლიდგან. ტელეფონი 24.

(3—6.—1)

მეპატრონე-გრავიორი გიორგი ივანეს ძე დემურია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворянская, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.